საბჭოთა გულაგ-ი, როგორც ეკონომიკური სისტემა

ელენე კვახაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომის ხელმძღვანელი: დიმიტრი ჯაფარიძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

საბჭოთა წარსულის კვლევა საქართველოში სულ უფრო აქტუალური ხდება. აღნიშნულ საკითხზე არსებული ნაშრომები საინტერესოა როგორც ისტორიკოსებისთვის, ასევე რიგითი მოქალაქეებისთვისაც. წინამდებარე კვლევაც საბჭოთა თემატიკას ეხმაურება. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის გულაგ-ის ეკონომიკური სისტემის შესწავლა, გააზრება და შეფასება. განხილულია საბჭოთა სადამსჯელო სისტემის ეკონომიკური და საწარმოო ასპექტები. კვლევის მიზანია იმის დადგენა, თუ რამდენად ეფექტური იყო ეს სისტემა ეკონომიკური თვალსაზრისით, რა გავლენა მოახდინა მან ზოგადად ქვეყნის განვითარებაზე და რითი იყო განპირობებული მიღებული შედეგი. კვლევას საფუძვლად დაედო ნაშრომები და თემები, რომლებიც პასუხს სცემენ კითხვას, თუ როგორი იყო გულაგ-ის ეკონომიკური სისტემა. აგრეთვე, საბჭოთა რეჟიმის ამ ინსტიტუციის უკეთ შესწავლისთვის გამოყენებულიქნა საარქივო მასალები და დოკუმენტები. ნაშრომში განხილულია გულაგ-ის სისტემის ჩამოყალიბების ეტაპები, მისი ეკონომიკური ფუნქციები, იძულებითი შრომის გამოყენების სპეციფიკა და კვლევის სისრულისთვის სისტემის კერძო შემთხვევებიც იქნა განხილული. კვლევა სცემს პასუხს კითხვას, თუ რა ეკონომიკური შედეგი მოიტანა გულაგ-ში პატიმართა შრომის გამოყენებამ და იძულებით შრომაზე დაფუძნებულმა პენიტენციალურმა სისტემამ, იყო თუ არა ეს სისტემა წარმატებული და ეფექტური. აღნიშნული საკითხები დღეისათვის აქტუალურია, განსაკუთრებით დიდ ინტერესს გულაგ-ის საკითხისადმი სწორედ საქართველოში იჩენენ.